KA021759304989715

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0108, გ.ჭანტურიას ქ.12

12 G.Chanturia Str.,0108 Tbilisi,Georgia

N5/31265

27 / მაისი / 2015 წ.

შპს „აიკონია კაპიტალს“

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 25.05.2015წ. N42763/ფ განცხადება, ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. N13-ში მდებარე შპს „აიკონია კაპიტალის“ საკუთრებაში არსებულ 2405.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.10.16.004.051) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით მომიჯნავე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ N01.10.16.004.168) მხიდან ღიობების, აივნების და ტერასების მოწყობაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ 28.04.2015წ. N3631/09 წერილით სააგენტოში წარმოდგენილი კანალიზაციის მილის (ს/კ N01.01.755) და წყალმომარაგების მილის (ს/კ N01.01.834) ხაზოვანი ნაგებობების საკადასტრო აზომვითი ნახაზების საფუძველზე საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში განხორციელდა სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული კანალიზაციის მილის (ს/კ N01.01.755) და წყალმომარაგების მილის (ს/კ N01.01.834) ხაზოვანი ნაგებობების კორექტირება და გაცემული იქნა ახალი საჯარო რეესტრის ამონაწერები საკადასტრო გეგმებთან ერთად.

კანალიზაციის (ს/კ N01.01.755) და წყალმომარაგების (ს/კ N01.01.834) მილების ხაზოვანი ნაგებობების კორექტირების გათვალისწინებით სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო არ არის წინააღმდეგი ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. N13-ში მდებარე შპს „აიკონია კაპიტალის“ საკუთრებაში არსებული 2405.0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ N01.10.16.004.051) საზღვრებში განხორციელდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ 07.04.2015წ. N3986/09 წერილში ასახული პირობების გათვალისწინებით და შენობა-ნაგებობის ფასადის მთელ სიმაღლეზე მოეწყოს ღიობები, აივნები და ტერასები მომიჯნავე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ N01.10.16.004.168) მხიდან, წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, იმ პირობით თუ ანალოგიური თანხმობა შპს „აიკონია კაპიტალის“ მიერ გაცემული იქნება სახელმწიფოს მოთხოვნის შემთხვევაში.

ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. N13-ში მდებარე შპს „აიკონია კაპიტალის“ საკუთრებაში არსებული 2405.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.10.16.004.051) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის შედეგად სახელმწიფოს არ უნდა წარმოეშვას რაიმე სახის ვალდებულება.

წერილთან ერთად გიგზავნით შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ 07.04.2015წ. N2986/09 წერილს.

დანართი: 1 ფურცელი.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარე

ეკატერინე სისაური

gwp

მეტი ვიდრე უბრალოდ წყალი
MORE THAN JUST WATER

№ 2986/09 D 07.04.15

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
კერძო სექტორთან ურთიერთობის სამსახურის
უფროსს ქალბატონ ლია ხუციშვილს

ქალბატონო ლია,

შპს-მ "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" 20.03.2015წ. N2355/09 წერილთან დაკავშირებით დამატებით გაცნობებთ, რომ ქ.თბილისში, თამარაშვილის ქ.N13-ში მდებარე შპს "იკონა კაპიტალის" საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.10.16.004.051) კომპანიის ბალანსზე რიცხული დ=500მმ. წყალსადენის ქსელი არ გაედინება. წყალსადენის ქსელი გადის ხსენებული მიწის ნაკვეთის წითელი ხაზებიდან დაახლოებით 15 მეტრში.

ასევე გაცნობებთ,რომ მოქმედი D=1000 მმ-იანი მაგისტრალური საკანალიზაციო კოლექტორი გაედინება თამარაშვილის ქ.N13-ში მდებარე შპს "იკონა კაპიტალის" საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.10.16.004.051) წითელი ხაზების შიგნით, გარკვეულ მონაკვეთზე. აღნიშნულიდან გამომდინარე სამშენებლო ნორმებისა და წესების თანახმად, სანიტარულ ზოლში აუცილებლობას წარმოადგენს ყოველგვარი შენობა-ნაგებობების დაშორება თვითდენითი საკანალიზაციო კოლექტორიდან არანაკლებ 3,0 მეტრით ორივე მხრიდან. ასევე დაუშვებელია სანიტარული ზოლის შემოღობვა და მრავალწლიანი ნარგავების გაშენება. ამასთანავე გაცნობებთ, რომ ქსელებზე შესაძლო დაზიანების შემთხვევაში ჩვენი კომპანიის წარმომადგენლებს უნდა მიეცეს საშუალება დღე-ღამის ნებისმიერ დროს ტერიტორიაზე შესვლისა და სპეცტექნიკის გამოყენებით საჭირო სამუშაოების ჩატარებისათვის.

პატივისცემით,

ეკატერინე ბერიძე

კომუნიკაციისა და კორპორაციული
მომსახურების დირექტორი

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
შემოსვლის № 28352/04
07 „ 04 2015
19 ფურცელი

შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი GEORGIAN WATER AND POWER LTD
მის: 0179 თბილისი, მ. კოსტავას 1 შესახვევი №33 ტელ: +995 (32) 293 11 11; ფაქსი: +995 (32) 298 26 07
ელ-ფოსტა: info@georgianwater.com www.georgianwater.com